პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 მაისი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 110 (15627)

ხუთწლედი — ვადამდე!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲮᲐᲖᲘ

ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲐᲚᲕᲘᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘ

ᲐᲑᲮᲐᲖᲗᲐ კავშირის ჭაბუკთა და ქალიშვილთა ძალებისა და ენერგიის ახალი აღმავლობა გამოიწვია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გულითადმა მიმართვამ მათდამი, რომელიც გაისმა მოხსენებაში სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ: „მივესალმებით ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ღირსეულად იღებს უფროს თაობათა ესტაფეტას და რომელზეც ბევრი რამით არის დამოკიდებული, თუ როგორი იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჩვენი ერის მეხამე ათასწლეულის დამდეგისათვის“.

ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა და ქალიშვილთა შრომითს ენთუზიაზმს, მაღალ პატრიოტზმს მოწმობენ მათი დამკვრელური ვახტი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს, მებრძოლური მონაწილეობა სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში, მონოლითური შეკავშირება მშობლიური პარტიის გარშემო, რაც საქვეყნოდ დადასტურდა პირველი მაისის დღეს. ახალგაზრდობა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად და სავსებით უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კომუნისტური აღმშენებლობის ხაქმეში ღირსეული წვლილი შეაქვს შემოქმედებითს ახალგაზრდობას. ისევე როგორც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცდილ ოსტატებს, თავიანთ მთავარ ამოცანად ახალგაზრდა ხელოვანთ მიაჩნიათ ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც გვიჩვენებენ სოციალიზმის სამყაროს დიად იდეალებსა და სილამაზეს, გვხიბლავენ ცხოვრების ღრმა ახაზვით, იდეური პათოსის ძალით, მაღალი ოსტატობით.

ახალგაზრდა მწერლები და კომპოზიტორები, მსახიობები და რეჟისორები, მოქანდაკეები და მხატვრები ჩვენი კულტურის მომავალია. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირების, კულტურის ორგანოების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა იზრუნონ მათი იდეურ-მხატვრული ზრდისათვის, მტკიცედ დაიყენონ ისინი პარტიულობის, ხალხურობის, უცხო იდეოლოგიასთან შეურიგებელი შეტევითი ბრძოლის პოზიციებზე. შემოქმედებითი ცვლის მოფიქრებული აღზრდა, მისდამი მზრუნველი და მომთხოვნი დამოკიდებულება ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებული განვითარების საწინდარია.

შემოქმედებითმა კავშირებმა, კომკავშირის კომიტეტებმა გამონახეს ახალგაზრდასთან მუშაობის ბევრი ეფექტური, კარგი ფორმა. მათ შორის არის შეხვედრები კულტურის თვალსაჩინო ოსტატებთან, ხუთრადების გამოფენები, ფესტივალები, მეგობრობა ქარხნების, ჩენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შრომითს კოლექტივებთან. რამდენიმე დღეს მუშაობდა, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ახალგაზრდა კრიტიკოსების სემინარი, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის, რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირების გამგეობებმა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა. უკრაინაში გაიმართა ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებების დათვალიერება. სემინარზე შეიკრიბა მოლდავეთის შემოქმედებითი ახალგაზრდობა. ირკუტსკის ოლქში სისტემატურად იმართება კონფერენციები დევიზით „ახალგაზრდობა, შემოქმედება, თანამედროვეობა“, რომლებზეც განიხილავენ ახალგაზრდა ლიტერატორთა, მხატვართა, თეატრის მუშაკთა, კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებებს. მხარი უნდა დაუჭიროთ მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის ინიციატივას, რომელმაც ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობის კომისიის გამსვლელი სესია მოაწყო ქარხანა „ნამგალსა და უროში“.

საბჭოთა შემოქმედებითი მუშაკების ახალი თაობის ზრდისადმი დიდ ყურადღებას იჩენენ შემოქმედებითი კავშირებისა და კოლექტივების პარტიული კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები. მაგალითად, ახლახან სკკპ გორკის სოლელ კომიტეტის ბიუროს სხდომაზე გაიმართა საქმიანი სკკ-ბაასი ახალგაზრდა მსახიობთა იდეური და პროფესიული აღზრდის შესახებ. ამ საკითხებს სისტემატურად განიხილავენ ჩელიაბინსკისა და სხვა მწერალთა ორგანიზაციების კომუნისტები. ამასთანავე მთელ რიგ შემოქმედებითს კოლექტივებში ახალგაზრდა ტალანტებთან მუშაობა თავის ნებაზეა მიშვებული, მათ ჯეროვნად არ ეხმარებიან და მხარს არ უჭერენ.

ჩვენს ხალხს სურს, რომ ახალგაზრდა ხელოვანნი აქტიურად ანალიზებდნენ ცხოვრებას, ნაყოფიერად მონაწილეობდნენ კომუნისტური მშენებლობის მართალი და ნათელი მატიანის შექმნაში. ამას უსახავენ მიზნად კულტურის მოღვაწეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ და „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლა, ხუთწლედის მიჯნების მიღწევა მთელი ხალხის საქმეა. ხაბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის მეცხრე ხუთწლედი, ისევე როგორც წინა ხუთწლედები, უზარმაზარი პოლიტიკური და ზნეობრივი სკოლა, უაღრესად საინტერესო თემების, სიუჟეტების დაუშრეტელი წყაროა. დიახ, სწორედ ახალგაზრდების საქმეა, შემართება, დაუოკებელი წყურვილი მებრძოლურად დაზვერონ ცხოვრების ახალი ფენები, სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომაში შობილი ხასიათები!

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა თემას „მწერალი და ხუთწლედი“, ერთხელ კიდევ დაადასტურა იმის უპირველესი მნიშვნელობა, რომ ხელოვანი მოქალაქეობრივად, ხაზოგადოებრივად აქტიური უნდა იყოს, უნდა სწავლობდეს სოციალისტური სინამდვილის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. „ახალგაზრდა მწერალი მხოლოდ მაშინ იზრდება რომელიმ, როგორც მწერალი, როცა იგი იზრდება როგორც ადამიანი, როგორც მებრძოლი, იზრდება მთელ ქვეყანასთან ერთად“. ნიკოლოზ ოსტროვსკის ამ ხიტყვებით დღეს სრული უფლებით შეგვიძლია მივმართოთ აგრეთვე მხატვრებს, კომპოზიტორებს, მსახიობებს, კინემატოგრაფისტებს, არქიტექტორებს.

პირველი ხუთწლედების მჩქეფარე დღეებში შემოქმედებითად დაეუკავდა ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი ოსტატი. წიგნებსა და სურათებში, სიმღერებსა და კინოფილმებში სამუდამოდ ალბეჭდა მაგნიტკისა და კომსომოლსკის, დნეპრჰესისა და თურქსიბ-ციმბირის რკინიგზის მშენებელთა შესანიშნავი საქმეები. ეს შესანიშნავი ტრადიციები პირველ რიგში ახალგაზრდებმა უნდა განაგრძონ. მათი შრომა მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რაც უფრო ღრმად ჩასწვდებიან ხალხის ცხოვრებას, თანამედროვეთა საქმეების სიდიადეს.

პარტიული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, კომკავშირი განამტკიცებენ ახალგაზრდა ხელოვანთა კავშირს ცხოვრებასთან, უნერგავენ მათ ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას და ამით ახლა საფუძველს-უყრიან სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ წარმატებებს, სწორად იქცევიან იქ, სადაც დღენიადაგ ზრუნავენ კულტურის მუშაკთა ახალგაზრდა თაობის იდეური წრთობისათვის, ეხმარებიან ტალანტების ჩამოყალიბებასა და დავუკაცებას, უქმნიან პირობებს მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, რომ ღრმად გაეცნონ შრომითი კოლექტივების საქმიანობას ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ყურადღებით გარემოსილია შემოქმედებითი ინტელიგენცია. კულტურის ყველა ოსტატთან ერთად ახალგაზრდა შემოქმედებითს მუშაკებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ იყონ ახალი სოციალისტური ცხოვრების, საბჭოთა ადამიანის ჭრანდიოზული საქმეებისა და კეთილშობილური გრძნობების მეხოტბენი, მაღლა ატარონ ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, სრულყონ მხატვრული ოსტატობა, მთელი თავიანთი ნიჭი მოახმარონ კომუნიზმის მშენებელთა აღზრდას.

PRAVDA

11 მაისის მოწინავე.

მან თავი ისახელა

ᲥᲐᲠᲮᲜᲐ „ფოთიელექტროაპარატში“ შეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა დამკვრელური წლის გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავედ სამართლიანად ითვლება მოწინავე ზეინკალ-ამწყობი, კომუნისტი ლილა ხორავა. ის ერთ-ერთი პირველი დადგა ხუთწლედის დამკვრელური წლის შრომითს ვახტზე და კარგ მაჩვენებლებსაც აღწევს. მისი გამომუშავების ხვედრითი ნორმა 125-130 პროცენტია.

სურათზე: ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ მოწინავე ზეინკალ-ამწყობი, კომუნისტი ლილა ხორავა.

ი. ანანიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

□ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲣᲒᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲛᲐ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ 7.800 ᲢᲝᲜᲐ ᲡᲐᲗᲑᲝᲒᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲡ.

□ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ 4 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ 70 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ.

ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს მიაღწია. პროდუქციის რეალიზაციის დავალება ათი დღით ადრე, 26 აპრილისათვის შეასრულა.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელა თავი პირველმა საამქრომ (უფროსი ბ. იოსელიანი), იგი პირველობას არ თმობს და მტკიცედ ინარჩუნებს საქარხნო გარდამავალ წითელ დროშას.

ქარხნის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ჩერკასკელ და კრასნოდარელ თანამოსაქმეებთან და წარმატებითაც იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ᲡᲐᲗᲑᲝᲒᲘᲡ ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲢᲝᲜᲔᲑᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის (დირექტორი ვ. პატარიძე) კოლექტივი წარმატებით იბრძვის ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მოწინავე საწარმომ რვა დღით ადრე გადაჭარბებით გაანაღდა საკმესე ქვანახშირის მოპოვების ოთხი თვის დავალება. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეშვიდე და მეექვსე საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც რ. კიკოლიაშვილი და მ. გვენეტაძე ხელმძღვანელობენ. მეშვიდე უბანმა გეგმის გადამეტებით 4.500 ტონა, ხოლო მეექვსე უბანმა 3.300 ტონა „შავი ოქრო“ ამოიღო.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ერთი კვირით ადრე უპატაკა ოთხი თვის დავალების შესრულება კალინინის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა.

კალინინელებმა წლის განვლილ პერიოდში გამოუშვეს 19 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია და გეგმის გადამეტებით მოახდინეს 17 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

— გამოვლინდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები, — თქვა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. ჯოჯიშვილმა, — ინდივიდუალურ მომუშავეთა შორის პირველ ადგილზეა თავის პროფესიაში რესპუბლიკური შეჯიბრება-კონკურსის ლაურეატი, ახალგაზრდა ამწყობი ზეინკალი ვ. კუდუსიშვილი, ბრიგადებს შორის — ვ. ხლებნიკოვის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადა, სოლო საამქროთა შორის ის კოლექტივები, რომლებსაც ვ. ნინოშვილი და გ. აბესაძე ხელმძღვანელობენ.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ. („კომუნისტის“ კორ.). შეჯამდა მეცხოველეთა მიმდინარე წლის 4 თვის ნაამაგარი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა სოფელ ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ვ. ქობალიამ.

რაიონის მშრომელები ვ. ქობალიას შრომითს შედეგებს ყოველ წელს ქებით ეხსენიებენ. მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის 4 თვეში მოსავლელად მიჩენილ 14 ძროხაზე გეგმით უნდა მიეღო 5.900 კილოგრამი რძე, ხოლო ვალდებულებით 7 ათასი კილოგრამი. პირუტყვის კარგი მოვლა-პატრონობით პირობას გადაჭარბა, მიიღო 9.770 კილოგრამი რძე.

ვალდებულებით 4 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე უნდა მიეღო 500 კილოგრამი რძე, ფაქტიურად პირობას 168 კილოგრამით გადაჭარბა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოება გადიდდა 1.100 კილოგრამით, ხოლო ერთ საფურაქე ძროხაზე — 85 კილოგრამით.

ფერმის მოწინავე მუშაკი ვ. ქობალია იბრძვის იმისათვის, რომ პირუტყვის კარგი მოვლით მასში უფრო გაადიდოს წველადობა.

ᲛᲐᲗᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ადგილმრეწველობის კომბინატის მშრომელებმა ვადაზე ადრე გაანაღდეს მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება, გამოუშვეს 1.070 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია ნაცვლად 1.000 ათასი მანეთისა. ამავე პერიოდში რეალიზებულია 1.070 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმა კი 1.013 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაციას ითვალისწინებდა.

ადგილმრეწველობის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა გადაწყვეტილებაა ვადაზე ადრე დაამთავრონ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის პროგრამა.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲪᲮᲔᲗᲔᲚ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის რაიონული განყოფილების (მმართველი რ. ციცაძე, პარტბიუროს მდივანი ი. ხუბაშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ე. კიკნაძე) კოლექტივში სარემონტო სამუშაოების პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 109,7 პროცენტით, 22 ტრაქტორის ნაცვლად შეკეთდა 24 ტრაქტორი, სატრაქტორო სამუშაოების გეგმა შესრულდა 101,7 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმის სამექანიზაციო სამუშაოებისა — 110 პროცენტით, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურმა გეგმა გაანაღდა 105,4 პროცენტით, ტრაქტორების ტექნიკური მომსახურების სადგურმა — 110 პროცენტით, განყოფილებამ წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა შეასრულა 107,2 პროცენტით.

ამ მაჩვენებლების შედეგად „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის რაიონული განყოფილება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა.

ამ დღეებში „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის რაიონული განყოფილების კოლეტივს საზეიმო ვითარებაში გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს სსრ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ვ. რევაზიშვილმა.

მცხეთელმა მექანიზატორებმა მაისში უფრო გაძლიერეს მუშაობა და იბრძვიან იმისათვის, რომ მეორე კვარტალში კვლავ შეინარჩუნონ საკავშირო დროშა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით 11 მაისს მოსკოვიდან ვარშავაში მეგობრული ვიზიტით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მოგზაურობის დროს ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. ნ. ბელატოვი.**

სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** აცილებდნენ ამხანაგები **ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გროშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ა. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები **პ. ა. აბრასიმოვი, ბ. პ. ბუგაევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, გ. ს. პავლოვი, გ. ე. ცუკანოვი, კ. უ. ჩერნენკო, ნ. ა. შჩოლოკოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი **ო. ბ. რახმანინი.**

ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** გააცილეს ავრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში **ზენონ ნოვაკმა,** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში **ჰორსტ ბიტნერმა.** (საკდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 11 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). სახალხო პოლონეთის დედაქალაქი დღეს როგორც ყველაზე ძვირფას ფასუმარს ზეიმითა და გულითადად შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს,** რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვევით. ლენინგრადი ილიას-ძე ბრეჟნევთან ერთად ვარშავაში ჩამოვიდნენ მისი თანმხლები ამხანაგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ე. გიერეკი,** პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **გ. იაბლონსკი,** პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პ. იაროშევიჩი,** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები და პარტიის, პოლონეთის სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

აეროდრომზე მოვიდა ათასობით ვარშაველი, რათა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის გამოეხატათ მასპინძლობისა და მეგობრობის გრძნობები, თავიანთი მადლობა მისი აქტიური საქმიანობისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის განმტკიცებას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირებას. აეროპორტის უზარმაზარი სივრცე და ახლომახლო ქუჩები მორთულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახელმწიფო ალმებით. აეროვოგზლის შენობაზე გაკრულია ტრანსპარანტი — „სახალხო პოლონეთი დიადი საბჭოთა ქვეყნის ურყევი მოკავშირეა“. ალოფერ ტხლოებზე წარწერილია „გულითადად მივესალმებით ამხანაგ ბრეჟნევს სოციალისტურ ვარშავაში“, „გაუმარჯოს ამხანაგ ბრეჟნევს — პოლონელი ხალხის დიდ მეგობარს!“.

შეკრებილთა მეუხარე ტაში გაისმა, როცა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი გამოჩნდა თვითმფრინავის კიბეზე. ამხანაგები ე. გიერეკი, გ. იაბლონსკი, პ. იაროშევიჩი გულთბილად მიესალმნენ და გადაეხვიენენ ლეონიდ ილიას-ძეს, მასთან ერთად ჩამოსულ საბჭოთა ამხანაგებს. პიონერებმა თაიგულები მიართვეს საბჭოთა სტუმრებსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

ეღირს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნები. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა ჩამოიარეს საპატიო ყარაულის მწკრივის, მიესალმნენ დიპლომატიური კორპუსის წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიუახლოვდა ვარშაველ მცხოვრებლებს, რომლებიც გულთბილად, მთელი გულითა და სულით მიესალმნენ მას.

მანქანების კორტეჟი მიემართება ქალაქში. აეროპორტიდან ცენტრისაკენ მიმავალი გზატაკიცილის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულა ათეთასასობით ვარშაველი — პოლონეთის მუშები, სტუდენტები, მშრომელი ინტელიგენცია. ათასობით კაცი ხელს უქნევს, ყვავილებით, ტაშით, მისასალმებელი შეძახილებით ეგებება საბჭოთა სტუმარს და მასთან ერთად მყოფ ედვარდ გიერეკს. მანქანა, რომელშიც ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ე. გიერეკი სხედან, ხშირად ჩერდება. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელმძღვანელები ხელს ართმევენ ვარშაველებს, რომლებიც მიესალმებიან მათ, გულითადად ესაუბრებიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საზეიმო შეხვედრა ვარშავაში გადაიქცა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მტკიცე მეგობრობის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის მზარდი შეკავშირების გრანდიოზულ მანიფესტაციად.

ᲡᲔᲡᲘᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

11 მაისს მოსკოვის კავშირების სახლში გაიხსნა ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ადმინისტრაციული კომიტეტის მე-18 სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ 14 ქვეყნის წარმომადგენლები.

მოხსენება მეოთხე საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და პროფკავშირის მერვე მსოფლიო კონგრესის მომზადებასთან დაკავშირებით გაერთიანების ამოცანების შესახებ გააკეთა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ა. გერტნიშანმა.

პროფკავშირულ უფლებებსა და ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების მიერ მათს განხორციელებას მიეძღვნა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების მდივნის ნ. ანტუნესის გამოსვლა.

შემდეგ სესიის მონაწილეებმა დაიწყეს მოხსენებათა განხილვა.

სესია სამ დღეს გასტანს.

(საკდესი).

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲘ ᲓᲐ Ე. ᲒᲘᲔᲠᲔᲙᲘ ᲣᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲔᲑᲡ.

საკდესი (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲘᲡ

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲡ

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

იმასთან დაკავშირებით, რომ მოგენიჭათ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია, მოხარული ვართ იტალიელი კომუნისტების სახელით უაღრესად ძმურად მოგესალმოთ ამ მაღალი ჯილდოს გამო, რომელიც ხაზს უსვამს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხისა და პირადად თქვენს მუდმივ საქმიანობას მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებისათვის.

ᲚᲣᲘᲯᲘ ᲚᲝᲜᲓᲝ,
ᲔᲜᲠᲘᲙᲝ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲒᲣᲔᲠᲘ.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ

ᲐᲛᲮᲡᲜᲐᲒ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲑᲠᲔᲭᲜᲔᲕᲡ

დიდი სახარულით შევიტყეთ, რომ მშვიდობის საქმის დაცვაში დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის მოგენიჭათ მშვიდობის პრემია, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს.

ნება მიბოძე

17 ივნისი
ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

ხალხის კანდიდატები

მზადება არჩევნებისათვის

რესპუბლიკაში **გაჩაღებულია წინასაარჩევნო კამპანია. სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში გამართულ ხალხმრავალ კრებებზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ იმათ, ვინც ყველაზე უფრო ღირსია წარმოადგინოს მშრომითი კოლექტივები ადგილობრივ საბჭოებში.**

თბილისი. დიდი აღმავლობით ჩაიარა № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივის კრებამ, რომელიც მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ნერსესოვმა.

კრებაზე გამოსულმა № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორმა ვ. გელენიძემ შეიტანა წინადადება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამ საწარმოს მოწინავე მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი **ვახტანგ რუბენის-ძე ემნაძე.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. გაჩეჩილაძემ, მძღოლმა პ. მელაოხინმა, რემონტორომ პ. ვანიანმა, რომლებმაც თავიანთი ამხანაგი დაახასიათეს როგორც გულსხმიერი ადამიანი. ვ. ემნაძე, — ხაზგასმით აღნიშნეს მათ, — ერთი ერთი პირველი ჩაება შეჯიბრებაში პროფესიათა საუკეთესოს წოდებისათვის, მისი მისაბმელიანი თვითმცლელი „ზილ-130“ მუდამ საუცხოო მდგომარეობაშია. გეგმის 125 პროცენტი — აი მოწინავე მძღოლის მუდმივი მაჩვენებელი.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ვ. რ. ემნაძე.

„მთავართბილისმშენის“ № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრება გახსნა სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. მაჭარაშვილმა.

ტრიბუნაზეა სამმართველოს მოწინავე ბრიგადის კოშკურა ამწის მემანქანე მ. ელკანოვი. ეს ბრიგადა მუშაობს სამეურნეო ანგარიშზე ნ. ზლობინის მეთოდით. მან წარადგინა წამოაყენა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამშენებლო სამმართველოს კოლექტივისაგან დასახელონ თავიანთი ბრიგადის ბრიგადირი ვოლენტინა **იაკობის ასული ჭიბისანოვა.**

ამ ინიციატივას ერთხმად დაუჭერს ხელი ბრიგადის ყველა წევრი. ამ ინიციატივას ერთხმად ეხმიანა ბრიგადა ბ. ბ. ბ.

ქვეყნად ბედნიერებისა და ეშვიდობისათვის

მხურვალედ ულოცავენ

ყველა საბჭოთა ადამიანმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ სიხარულით შეიტყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მიენიჭა საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის". ამ დღეებში ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე მოსდის ათასობით მისალოცი დეპეშა, წერილი, მისასალმებელი ადრესი. ამ მილოცვებში საწარმოო კოლექტივები, ოჯახები, სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები გამოთქვამენ თავიანთ აზრებსა და გრძნობებს, იუწყებიან შრომითი წარმატებების შესახებ.

გორლოვკიდან მოსულ დეპეშაში კომბინატ „არტემუგოლის" ნ. იზოტოვის სახელობის შახტის მესანგრეე ვ. დოვბიში წერს:

„ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ნება მიბოძეთ მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ მაღალი ჯილდო და ყველა მეშახტის სახელით გისურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და დიდი წარმატებანი იმ ტიტანურ საქმიანობაში, რომელსაც ეწევით ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ და პლანეტაზე მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

აღგითქვამთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ მაღაროელები ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა განსახორციელებლად. პირადად მე 1978 წლის 21 აპრილიდან უკვე მეათე ხუთწლედის ანგარიშში ვმუშაობ და კომუნისტის სიტყვას გაძლევთ, რომ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს კიდევ ერთ წლიურ ნორმას მაინც შევასრულებ".

მიმართავს რა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ტერნოპოლის ოლქის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ე. დოლინიუკი უდეპეშებს:

„მაღალი ჯილდო კიდევ ერთხელ ადასტურებს თქვენს დიდ პირად წვლილს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. დიდ მადლობას ვუხდით სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროსა და პირადად თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, რომ ესოდენ დიდი მუშაობა გასწიეთ, რათა უზრუნველგეყოთ საიმედო უშიშროება კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხისათვის.

ჩვენ, სოფლის მშრომელნი, აღგითქვამთ, რომ ღირსეულ წვლილს შევიტანთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში, წარმატებით შევასრულებთ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებებს, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს".

სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული სამშვიდობო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გულწრფელ მადლობას უძღვნის კომუნისტურ პარტიას, ცენტრალურ კომიტეტს, მის გენერალურ მდივანს ათი შვილის დედა, კოკჩეტავის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბულაკსკის" მწველავი ე. ივაკინა:

„დიდად მადლიერი ვარ თქვენი და მოგესალმებით, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, თქვენი ფასდაუდებელი მეცადინეობისათვის ჭეეყნად მშვიდობის უზრუნველსაყოფად. არ მეგულება დედა, რომელიც ვერ ხედავდეს თქვენს პირად ამაგს ამ კეთილშობილურ საქმეში. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება ახალ იმედებს გვისახავს გულში ჩვენ, დედებს, ხელს უწყობს იმას, რომ ჩვენი შვილები დაგვეზარდონ პატიოსან, მშვიდობისმოყვარე ადამიანებად, საყვარელი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად. გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ შრომაში".

რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა სახელით მიმართავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ვეტერან კომუნისტთა საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი დ. ჭეიშვილი:

„ჩვენი ხალხი დიდად აფასებს იმ უდიდეს და ნაყოფიერ მუშაობას, რომელსაც თქვენ და ჩვენი ლენინური პარტია ეწევით მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად. კეთილი ნების ადამიანებს სურთ, რომ არასოდეს არ გამეორდეს მეორე მსოფლიო ომის ტრაგედია. აღგითქვამთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ ძველი გვარდიის მებრძოლნი მუდამ ვიქნებით მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში".

საბჭოების ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები თავიანთ გულითად მილოცვებში წერენ, რომ მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იქნებიან, მიბაძავენ კომუნისტებს, ღირსეულად განაგრძობენ დედათა და მამათა საქმეს. აი რას წერს როსტოვის ოლქის ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი:

„თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, სამაგალითო ხართ, როგორც ლენინელი კომუნისტი, ახალგაზრდობის ბრძენი და მომთხოვნი აღმზრდელი, გულისხმიერი და მზრუნველი ადამიანი. მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ მტკიცედ, თანმიმდევრულად ახორციელებთ ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების ლენინურ პოლიტიკას. პირობას გაძლევთ, რომ ღირსეულად განვაგრძობთ ჩვენი კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის სახელოვან საქმეებს, დიდი ლენინის ანდერძის ერთგულნი ვიქნებით!"

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მიულოცა აგრეთვე მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრის — ლენინის ორდენოსანი. სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის კოლექტივმაც:

„იზრდება და მტკიცდება მშვიდობისათვის უდრეკ მებრძოლთა — ჩვენი დროის მოწინავე ადამიანთა რიგები, — ნათქვამია წერილში. — და ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ამიერიდან „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატთა რიგებში ხართ თქვენ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. ეს ნიშნავს პირადად თქვენს დამსახურებათა აღიარებას დედამიწაზე მშვიდობის დაცვის საქმეში, ეს ნიშნავს პარტიის პოლიტიკის საერთაშორისო აღიარებას, ეს ნიშნავს, რომ დედამიწაზე მშვიდობის საქმე საიმედო ხელშია".

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი. ლ. ი. ბრეჟნევს" — ასეთი მისამართი აწერია იმ დეპეშების ბლანკებს, რომლებშიც ბევრი საბჭოთა ოჯახი გულითადად ულოცავს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს. აი 1917 წლიდან პარტიის წევრის, მოსკოვეთი გუსაკოვის ოჯახის დეპეშა: **„ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, სულით და გულით გილოცავთ მშვიდობის განმტკიცებისათვის პრემიის მონიჭებას, რომელიც თქვენ ყველაზე მეტად დიმსახურეთ".** კიდევ ერთი ლაკონიური დეპეშა იაროსლავლიდან: **„ლეონიდ ილიას-ძევ, კვლავაც გაგიძღვნით ამ კურსით. ჩვენ თქვენთან ვართ. გილოცავთ! შაბროვები".**

ბევრი დეპეშა მოუვიდა ლ. ი. ბრეჟნევს დიდი სამამულო ომის მონაწილეებისაგან, მეომრებისაგან, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ მე-18 არმიაში. ისინი გამოგზავნეს როსტოველებმა საბჭოთა კავშირის გმირებმა ე. ნიკულინამ, პ. კოვალიოვმა, ვ. სკრილევმა, ვ. ხარიტონჩენმა, ს. ბონდარმა, კიშინიოვიდან — დ. ტურკინამ, ბაკოდან — ანსატუნიანმა...

იმათ შორის, ვინც ღირსსახსოვარ 1945 წელს წითელი დროშა აფრიალა რაიხსტაგზე, იყო საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარიაც. იგი სწერს:

„როცა ოცდაოთხ წლის წინათ ჩვენ, საბჭოთა სამშობლოს ჯარისკაცები, მტრის ტყვიების წვიმაში თავგანწირვით ვუტევდით რაიხსტაგს, როცა მომაკვდავი ამხანაგების ცივი ხელიდან ვიღებდით წმიდათა წმიდა წითელ დროშას, ჩვენ ვფიქრობდით მშვიდობაზე, ვოცნებობდით მშვიდობაზე არა ჩვენთვის, არამედ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. და რა ბედნიერებაა გრძნობდე, რომ ასეთი დიდი მსხვერპლით მოპოვებული მშვიდობა საიმედო ხელშია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ახალი ძალით დაადასტურა ეს.

ის, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია მოგენიჭათ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც ჩვენი პარტია, პირადად თქვენ ეწევით სახელმწიფოთა და ხალხთა შორის კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის".

და თითქოს ამ წერილს აგრძელებსო, აქვეა მისალმება — პატაკი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი ტანაინის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიული მოტომსროლელი დივიზიის მეომრებისაგან. ოქროთი დაწერილია სიტყვები:

„ტანამნელი მეომრები უსაზღვროდ ამაყობენ, რომ დიდი სამამულო ომის მკაცრი განსაცდელის ჟამს უფროსი თაობის ტანამნელები ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ ფრონტის იმ უბნებზე, სადაც თქვენ მეთაურობდით პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. ჯარებსადმი თქვენი ხელმძღვანელობა, პარტიული მუშაობის დიდი გამოცდილება, პირადი ვაჟკაცობა ფრონტელ ტანამნელებს შთაგაგონებდა გმირობას სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის.

ჩვენ, თანაპოლკელ გმირთა სახელოვანი ტრადიციების მემკვიდრეებმა, საბრძოლო დარიგებად მივიღეთ თქვენი სიტყვები: „ყველაფერი, რაც ხალხს შეუქმნია, საიმედოდ უნდა იყოს დაცული".

„ჩვენ ვიცით, რომ სოციალიზმის პოზიციების ხიმტკიცე მსოფლიოში ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა არმიის მაღალ ბრძოლისუნარიანობახა და საბრძოლო მზადყოფნაზე, და ალგითქვამთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ კვლავაც არ დავიშურებთ ძალღონეს, ვიშრომებთ, სრულყოფთ ჩვენს სამხედრო ცოდნას, რათა ვიყოთ საბჭოთა სამშობლოს ღირსეული დამცველები!"

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელზე მისალოცი დეპეშები და წერილები კვლავ მიდის სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, გაზეთების რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში, ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებში. მათში საბჭოთა ადამიანები პირობას დებენ, რომ დედამიწაზე მშვიდობისათვის, სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი აყვავებისათვის ზრუნვის პასუხად მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ მეცხრე ხუთწლედისა და მისი მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებანი. (საკდესი).

სოციალიზმის ქვეყნებში

პოლონეთის შრომითი დღე

ვარშავა, 10 მაისი. (საკდესი). პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ყოველდღე, ყოველ საათს მოდის ქვეყნის ყველა კუთხიდან ამბები, რომლებიც ასახავენ პოლონელ მშრომელთა მიერ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, სახელმწიფოს მატერიალურ სიმდიდრეთა გაზრდაში მოპოვებულ წარმატებებს, სოციალური პოლიტიკის დარგის მიღწევებს, პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას.

ენერგეტიკის ნაგიჯები

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო 1600 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურ „პოლანეცის" მშენებლობა. ახლა აქ ფართო ფრონტით წარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები. ეს ქვეყნის ყველაზე დიდი ენერგეტიკული მშენებლობაა.

მეგობრობის მატარებელი

გუშინ დონეცკიდან კრაკოვს ჩამოვიდა მეგობრობის მატარებელი. 300 საბჭოთა მეტალურგს, მეშახტეს, მსუნუქი მრეწველობის მუშაკს, საბჭოთა კაპიტალისტურ ეროვნებიც მეგობრობის საზოგადოების აქტივისტს კრაკოველები შეხვდნენ როგორც ყველაზე ძვირფას სტუმრებს. მასპინძლებმა მოიძენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს მოუმზადეს პოლონეთში მოგზაურობის საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა.

გმირთა კატივსაცემად

დამოპვრდა კონკურსი პოლონელი და საბჭოთა პარტიზანების ძეგლის შესაქმნელად, რომლებიც ერთად იბრძოდნენ დამპყრობლებს პოლონეთის ტერიტორიაზე იანოსკის ტყეებში.

ამ კონკურსში, რომელიც კულტურისა და ხელოვნების სამინისტრომ, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა კავშირმა გამოაცხადეს, მონაწილეობდნენ პოლონელი და საბჭოთა მოქანდაკენი. საუკეთესოდ არის მიჩნეული ორი პროექტი. ერთი, რომელიც საბჭოთა მოქანდაკემ ი. მ. რუკავიშნიკოვმა შეასრულა, და მეორე, რომელის ავტორიც პოლონელი მოქანდაკე ბ. ჩრობა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲙᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ბერლინი

კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა, ძვირფასო მეგობარო!

11 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი სიხარულით და მღელვარებით შეიტყვეს დღეს, რომ შაბათს, 12 მაისს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვევით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით ჩამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

„ხვალ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით ჩამოდის ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი" — მთელ პირველ გვერდზე დაბეჭდილი ასეთი სათაურით აქვეყნებენ დღეს მომავალი ვიზიტის ცნობას **„ნოიეს დოიჩლანდი"** და დედაქალაქის სხვა გაზეთები.

გერმანიის მიწა-წყალზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეებს არაერთხელ მიუღიათ მეგობრულად გულთბილად და გულითადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. და დღესაც რესპუბლიკის მშრომელები გულწრფელად და გულღიად ეგებადებიან ყველაზე ძვირფასი და ახლობელი მეგობრის შესასვლელად. ეს ბუნებრივიცაა. ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთობის მონოლითური საფუძველი გახდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ახსოვთ ლ. ი. ბრეჟნევის სტუმრობები, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობაზე წარმოთქვა: **„სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მტკიცე მეგობრობა — ეს ჩვენი პარტიების დიადი მონაპოვარია, ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობა მრავალი წლის მოზანსწრაფულ ღონისძიებათა შედეგია. მეგობრობა — ეს არის სული და გული ჩვენი კავშირისა, რომელიც მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ერთობლივ ბრძოლაში ჩამოყალიბდა".**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქენი ერთსულოვნად უქერენ მზარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. უდიდესი ინტერესით და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგებს, იმ მადალ შეფასებას, რომელიც პლენუმმა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პირად წვლილს მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში.

დედაქალაქის პირველი ხელოვნური თანამგზავრი

10 მაისი. (საკდესი). როგორც დღეს პარლამენტში განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, „ვიისად სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული კოსმოდრომიდან საბჭოთა მატარებელი რაკეტის მეშვეობით ორბიტაზე გაიყვანენ მთლიანად ინდოეთში დაპროექტებულ და დამზადებულ დედამიწის პირველ ხელოვნურ თანამგზავრს.

300 კილოგრამის წონის თანამგზავრს გაიყვანენ წრიულ ორბიტაზე, რომლის რადიუსი 600 კილომეტრს შეადგენს.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ თანამგზავრზე დააყენებენ სამეცნიერო ექსპერიმენტების განსახორციელებელ მოწყობილობას, იუწყება პრეს ტრასი ოფ ინდიას საააგენტო.

ბერლინი

ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს

11 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის გრძელვადიანი გეგმა, რომელსაც აპრილში მოაწერეს ხელი მოსკოვში, ჩვენი ქვეყნების ერთიანი პოლიტიკის საერთო მიზნების გამოხატულებაა, განაცხადა გაზეთ „ბერლინერ �აუნგის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა გ. ი. პოფომანმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის თანამშრომლობა კულტურის დარგში ამჟამად თავისი განვითარების ახალ ეტაპში შეიდა. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს — ეს არის მოქმედი სოციალისტური ინტერნაციონალიზმი. ჩვენ ვადგევართ სოციალისტური თანამეგობრობის გზას. ამიტომ იდეოლოგიისა და ხელოვნების დარგში საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სწორედ კულტურა და ხელოვნება მოწოდებული არიან ცხადყონ სოციალისტური წყობილების ძალა და უპირატესობა, ახალი სოციალისტური საზოგადოების ადამიანის სიდიადე.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის **ᲛᲫᲛᲘᲛᲔ** ინდუსტრიის ფლაგმანის მაგდებურგის ტელმანის სახელობის მანქანათმშენებლებს ბინატს საბჭოთა კავშირის ქალაქების მონათესავე საწარმოებთან. გერმანელი მანქანათმშენებლების მუშაობაში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას. კომბინატში ყოველ წელს იზრდება პროდუქციის გამოშვება, რომელიც შემდეგ მეტწილად სსრ კავშირში იგზავნება.

სურათზე: საბჭოთა სპეციალისტები სტუმრად მაგდებურგელ მანქანათმშენებლებთან. მარცხნიდან — ვლადიმერ მეტეევი, ალექსანდრე ტარასოვი, ჰაინც ბელგერი, ვიტალი ზარუბინი.

ᲐᲓᲜ-ᲡᲐᲐᲓᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲐᲜᲢᲐᲠᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘ

დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთვერული სამეცნიერო ფონდის ანტარქტიკული ექსპედიცია, **რომელიც** მოეწყო საბურღი ხელსაწყოებით აღჭურვილი გემით „გლომარ ჩელენჯერი". მონაცემების საფუძველზე მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ანტარქტიკის გამყინვარება დაიწყო 20 მილიონი წლის წინათ და არა 5-7 მილიონი წლისა, როგორც აქამდე ფიქრობდნენ.

მეცნიერები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ ავსტრალია ანტარქტიკის გამოეყო დაახლოებით 50 მილიონი წლის წინათ და ყოველ წელს რამდენიმე სანტიმეტრით მიიწევს ჩრდილოეთის მიმართულებით.

ექსპედიციის მონაწილენი იუწყებიან, რომ ანტარქტიდის ახლოს ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს ბუნებრივი გაზის კვალი.

ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘᲛᲝᲜ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ...

ფრანგმა სოციოლოგებმა დამტკიცეს, რომ იგნელისული ტუოისტების მესამედი საფრანგეთში მხოლოდ იძისათვის ჩამოდის, რომ საფუძველიანად გაეცნოს ფრანგულ სამზარეულოს და იგემოს იქ დამზადებული კერძები. ამას წინათ ქალაქ დიეპას სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელებმა გადაწყვიტეს ფართოდ გაეღოთ ფრანგული სამზარეულოს კარი ლა-მანშს გაღმიდან მოსულ სტუმრებს. ყოველ კვირას ინგლისელი ტურისტების ჯგუფი 70 კაცის შემადგენლობით, ფრანგი მზარეულების ხელმძღვანელობით მომზადებას გადის ქალაქის საუკეთესო რესტორნებში.

კურსების გავლის მსურველები საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, განცხადებები შეაქვთ წინასწარ, რამდენიმე თვით ადრე.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲣᲛᲠᲝᲑᲐ

ᲑᲐᲛᲑᲣᲖᲠᲘᲡ რადიომ მსმენელთა გართობის მიზნით გადაწყვიტა მოეწყო გადაცემა დასავლეთ ევროპის „ფილმსაშინელებების" მიბაძვით. დიქტორმა აღელვებული ხმით გამოაცხადა, თითქოს სტუდიაში შეიჭრა გიჟი, რომელიც ცდილობს ეთერში გადასცეს მაგნეტარ ფირზე ჩაწერილი საკვდილის ხმები. „ძვირფასო რადიომსმენელებო, — აკანკალებული ხმით განაგრძო დიქტორმა, — დაუყოვნებლივ გამორთეთ რადიომიმღებები! სასიკვდილო ვიბრაციები პირდაპირ თქვენკენ მოემართებიან". ზოგიერთმა მსმენელმა ეს სერიოზულად მიიღო, გამორთეს რადიომიმღებები, შემდეგ დარეკეს სტუდიაში და თავიანთი დახმარება შესთავაზეს. ერთი რადიომსმენელი პირდაპირ მივარდა სტუდიაში და აუვარდა: „ერთი მაჩვენეთ, სად არის ის სუბიექტი!"

ᲤᲚᲔᲒᲛᲐ ᲣᲛᲫᲧᲣᲜᲐ

ᲘᲣᲢᲘᲡ შტატის (აშშ) პოლიციამ დააპატიმრა 78 წლის ჯენი ბოლი, რომელსაც ბრალად ედებოდა ბანკის შეიარაღებული გაძარცვა. მოხუცი ქალი მშვიდად შეეფდა ბანკში, კოფტის ქვეშიდან ამოიღო სათამაშო რევოლვერი და მოლარეს მოსთხოვა ათასსუთასი დოლარი. ფული კი მიიღო, მაგრამ შორს წასვლა ვეღარ მოახერხა. პოლიცია მოხუცი მძარცველს მეზობლად მდებარე მაღაზიაში დაეჭია და დააპატიმრა.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲐ

ᲓᲐᲙᲐ. როგორც გაზეთი „ტიპლი" იუწყება, კომილის ოლქში, 50 კილომეტრზე ბანგლადეშის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყვავილისაგან დაიხოცა 235 კაცი. რამდენიმე თვის მანძილზე ამ ოლქის მთელ რიგ რაიონებში რეგისტრირებულია ყვავილოვან დაავადების 900-მდე შემთხვევა. ადგილობრივი ხელისუფალნი ახორციელებენ ღონისძიებებს ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ᲡᲘᲪᲮᲔ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲒᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ რამდენიმე დღის მანძილზე 100-ზე მეტი კაცი დაიხოცა მზისა და სითბური დაკვრის შედეგად მაპარაშტრისა და ბიპარის შტატებში, სადაც ჰაერის ტემპერატურა 5-6 გრადუსით აღემატება ნორმას. მაისი ყველაზე ცხელი თვეა ინდოეთში, მაგრამ წლევანდელი სიცხე უჩვეულოა. ვერცხლისწყლის სვეტი ხშირად 48-49 გრადუსს უჩვენებს ჩრდილში.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ

რ. ჩანდრას ინტერვიუ

10 მაისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ აქ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ხაზი გაუსვა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება მოსკოვში. მან განაცხადა, რომ პერიოდში, რომელიც წინ უძღვის მოსკოვის ფორუმს, განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მშვიდობის ეროვნულ კომიტეტებს. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ ვრცელი ინფორმაციია მივაწოდოთ საზოგადოებრივ აზრს კონგრესის ამოცანებისა და მიზნების შესახებ.

მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენლთა მოსკოვის საერთაშორისო საკონსულტაციო შეხვედრაზე მიღებული პროგრამის თანახმად კონგრესის წინ გაიმართება სხვადასხვა რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციები. კერძოდ, იულისის პირველ რიცხვებში მოსკოვში გაიმართება მერრე საერთაშორისო საკონსულტაციო შეხვედრა, რომელზეც აირჩევენ მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელ კომიტეტს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

კამბოჯის კამბეები

11 მაისი. (საკდესი). განვლილი დღეღამის განძალზე კამბოჯის განთავისუფლების ძალები შეუპოვრად ებრძოდნენ პნომპენის ჯარებს ქალაქ კამპოტას რაიონში — სიამის ყურის სანაპიროზე, № 5 გზატკეცილზე — დედაქალაქის ჩრდილოეთით, ტაკეოს პროვინციასა და ქვეყნის სხვა რაიონებში.

წუხელ პატრიოტული ძალების არტილერიამ ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგის პოზიციებს პნომპენის დაცველი სარტყლის სამხრეთ ნაწილში, 7 კილომეტრზე დედაქალაქის გარეუბნიდან. ამ რაიონების დამცველი პნომპენის ჯარების ქვეგანაყოფებს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ. დიდი დანაკარგები ჰქონდა მოწინააღმდეგეს № 5 გზატკეცილის რაიონშიც, 65 კილომეტრზე პნომპენის ჩრდილოეთით, სადაც პატრიოტებმა მოიგერიეს პნომპენის ჯარების შემოტევა, რომლებიც ცდილობდნენ დაბრუნებინათ დაკარგული პოზიციები, რათა კონტროლი გაეწიათ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის სურსათით უხვ რაიონებში მომავალი ამ მაგისტრალისათვის.

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ

რასისტული ტერორი ნამიბიაში

11 მაისი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის საიდუმლო პოლიცია განაგრძობს სასტიკ რეპრესიებს ნამიბიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, რომელიც უკანონოდ ოკუპირებულია სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის ძალებისაგან. ვინდჰუკიდან მიღებული ცნობებით, ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის ბანტუსტანების მსგავსად შექმნილ ოვამბოლენდის ეგრეთ წოდებულ „თვითმმართველ ტერიტორიაზე" დაპატიმრეს ოპოზიციის კიდევ ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ი. ამპალა.

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲑᲐ

11 მაისი. (საკდესი). ლიბანის დედაქალაქში შედარებით სიმშვიდე იყო. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადების მომენტიდან ქალაქში კანონ-აუნტად ისმის სროლა და ავტომატის ხმა.

გუშინ ბეირუთში ორჯერ გააუქმეს კომენდანტის საათი — სულ 8 საათს. ამ საათებში ქალაქის ქუჩები სავსე იყო მცხოვრებლებით, რომლებიც ჩქარობდნენ სურსათის მარაგის შეგროვებას. საგანგებო წესებთან დაკავშირებით ყველა დაწესებულება, კერძო კომპანია, ბანკი, მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ადგილები კომენდანტის საათში დახურულია. გამუდმებით დახურულია აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტი და ბეირუთის საზღვაო ნავსადგური.

გუშინ დღისით არმიის თვითმფრინავებმა ქალაქის ამასწინანდელი ბრძოლების რაიონებში ჩამოყარეს ფურცლები, რომლებშიც მოუწოდებენ ლიბანელ და პალესტინელ ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობისათვის. ერთობლივი საკონტროლო საგუშაგოები, რომლებშიც შედიან ლიბანის არმიისა და პალესტინელ პარტიზანთა წარმომადგენლები, ეგრეთწოდებულ „ცხელ" რაიონებში თვალყურს ადევნებენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას.

შედარებითი სიმშვიდის პირობებში გუშინ აქ გრძელდებოდა ინტენსიური კონსულტაციები და მოლაპარაკება ლიბანის ხელისუფლებს, არმიისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებს, აგრეთვე მთელი რიგი არაბული ქვეყნების წარმოგზავნილთა და ლიბანში ცალკეულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს შორის.

გაიმართა პირველი სხდომა საპარლამენტო კომისიისა, რომელიც ლიბანის პარლამენტის დახურულ თათბირზე შექმნეს კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ წინადადებათა შემუშავებისათვის. კომისიამ განიხილა მთელი რიგი რეკომენდაციები.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲙᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲝᲚᲝᲠᲔ

● **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ვ. ს. ალხიმოვის მეთაურობით ჩამოსული საბჭოთა მთავრობის დელეგაცია მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის ძინისტრმა ფ. დენტმა და ამერიკის შეერთებული შტატების საექსპორტო-საიმპორტო ბანკის პრეზიდენტმა გ. კერნსმა.

ამ შ

საქართველოს ფთა-ბარეი

ცეკვისა და სიმღერის ენით

ქინსაგბლ „სიმღის“ საგკასტროლო მარშრუტები

ცხინვალი, 11 მაისი. (საქინფორმის კორ.). ახლახან თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის ქალაქებსა და სოფლებში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმღი“. ქუკვისა და სიმღერის ენით მან მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს გააცნო თავისი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ოსეთის წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ხანმოკლე შესვენება, რეპეტიციები და „სიმღი“ კვლავ საგასტროლოდ გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ასზე მეტ კონცერტს გამართავს ანსამბლი ამჯერად, მრავალფეროვანი პროგრამა აქვს საქართველოს ერთ-ერთ უძველეს შემოქმედებითს კოლექტივს. — მასში შედის სიმღერა-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ზეიმი ოსეთში“ და ცეკვა „სიმღი“, ოსური და ქართული სიმღერები და ცეკვები.



გაზაფხულის სუნთქვა.

ეს დღეები სოხუმის ნავსადგურთან.

ი. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისის სტუმარი

უცნობი წყაროები, ახალი დასკვნები

უნგრელმა მეცნიერმა ლაიოშ ტარდიმ თბილისში დაიცვა სადოქტორო დისერტაციის

უნგრელი მწერლისა და მეცნიერის ლაიოშ ტარდის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის. მის მოღვაწეობაზე არაერთხელ დაგვიწერია, აღგვინიშნავს ის დიდი და სასარგებლო საქმიანობა, რასაც იგი ეწევა თავის ქვეყანაში ქართული კულტურის, ქართული მეცნიერების პროპაგანდის საქმეში. ლ. ტარდიმ ახლახან დაამთავრა მუშაობა თავის სადოქტორო დისერტაციაზე, რომელსაც მთელი 20 წლის განმავლობაში წერდა და როგორც დისერტანტი წარსდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნავს თუ წლითიწლობით როგორ ფართოვდება და მატკიცდება კულტურული ურთიერთობა უნგრეთსა და საქართველოს შორის, რომლის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია უნგრელი მეცნიერის დისერტაციის დაცვა თბილისში.

ლაიოშ ტარდი წლების განმავლობაში მოგზაურობდა ევროპის ქვეყნებში, მუშაობდა რომის, მილანის, ფლორენციის, ვენის, პარიზის და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებსა და არქივებში. ლათინური, იტალიური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ესპანური, პორტუგალიური ენების ცოდნა მას დაეხმარა მოეძებნა, შეეგროვებინა და შეესწავლა უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ისტორიული წყაროები.

ამ ორიოდე წლის წინათ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის მივლინებით ტარდი ექსპ თვეს იმყოფებოდა საქართველოში. ის კარგად ფლობს რუსულ ენას, ამავე დროს შეისწავლა ქართული ენაც და ჩვენს ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში აზუსტებდა, აჯერებდა საქართველოს ისტორიის იმ წყაროებს, რომლებიც მან ევროპის სხვადასხვა არქივებში აღმოაჩინა და ასეთი დიდი შრომის შემდეგ შექმნა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „შეაპვროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

ამჟამად ლაიოშ ტარდი არის უნგრეთის არქეოლოგიური ბიბლიოთეკის დირექტორი. დისერტანტს გამოქვეყნებული აქვს 33 ნაბეჭდი შრომა, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. ნაშრომების ძირითადი თემაა უნგრეთ-რუსეთის და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობანი. იგი აკტორია ისტორიული რომანისა „იაკუბ ბეი“, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა. ახლახან ლ. ტარდის სადოქტორო დისერტაციის ერთი თავი „სვიმონ მეფის სახელმწიფო და დიპლომატიური ურთიერთობანი“ გამოიცა პარიზში ფრანგულ ენაზე.

სამეცნიერო საბჭომ მოისმინა პროფესორ ვ. მაჭარაძის დადებითი რეცენზია ლ. ტარდის სადისერტაციო ნაშრომზე. ოფიციალურმა ოპონენტებმა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიიდან — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ე. ნიდერგაუზერმა, პროფესორებმა ზ. ანჩაბაძემ, გ. პაიჭაძემ, ი. ტაბაღუამ მაღალი შეფასება მისცეს ლ. ტარდის გამოკვლევას.

მათ აღნიშნეს, რომ სადისერტაციო ნაშრომი საინტერესოა როგორც უნგრული, ისე ქართველი ისტორიკოსებისათვის. უნგრეთისა და ევროპის არქივებში ტარდიმ მიაკვლია ისეთ წყაროებს, რომლებიც შუქს ჰფენენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის მანამდე ბურუსით მოცულ ამბებს.

ავტორი უნგრულ და მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ თუ მე-16 საუკუნემდე ევროპაში საქართველოზე ჰქონდათ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა, როგორც „შორეული და იდუმალებით მოცული ქვეყანაზე“, მე-16 საუკუნიდან შუა ევროპის საზოგადოებრივ აზროვნებაში მოხდა ძირეული გარდატეხა. ამ საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს თვლიდნენ როგორც ერთ-ერთ მძლავრ და ღირსეულ მოკავშირეს ოსმალების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. ოპონენტთა აზრით ლ. ტარდის ეს დასკვნა სრულიად ახალი სიტყვაა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა აღ. ბარამიძემ თავის გამოსვლაში ილაპარაკა ლ. ტარდის იმ დიდ საქმიანობაზე, რომელსაც ის ეწევა როგორც უნგრეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტიური წევრი.

სამეცნიერო საბჭომ უნგრელ მეცნიერს ერთხმად მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა სადოქტორო ხარისხი და შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის წინაშე ლ. ტარდისათვის საღოქტორო დისერტაციის დამტკიცების შესახებ.

დისერტაციის დაცვის დამთავრების შემდეგ შევხვდი უნგრელ მეცნიერს და ვთხოვე „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეცნო, თუ როგორია შემდგომში მისი შემოქმედებითი გეგმები. ტარდიმ აღნიშნა, რომ იგი გააგრძელებს მის მიერ მიკვლეულ უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ ისტორიულ წყაროებზე მუშაობას და ამ ურთიერთობის ამსახველი მე-16, მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეების მასალებს მთლიანად გადასცემს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს. იმედოვნებს, რომ მომავალში ეს მასალები დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ ისტორიკოსებს მათთვის საინტერესო საკითხების შესწავლაში.

ლ. ხუგულური.

• • •

სურათზე: ქართველი მეცნიერები ა. ბარამიძე, გ. მელიქიშვილი, ა. სურგულაძე, ა. კოჭლავაშვილი დისერტაციის წარმატებით დაცვას ულოცავენ ლ. ტარდის (მარჯვნიდან პირველი).

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ჭადრაკი

ზედიზედ 12 გამარჯვება!

ამ ტურნირში ნონა გაფრინდაშვილმა კიდევ ერთ ჩინებულ შედეგს მიაღწია — პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ, მან ზედიზედ მოიგო 12 პარტია (გუშინ მან დაამარცხა კობაიძე). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა შორს ჩამოიტოვა მეორე პრიზის მფლობელი. მაგრამ ვინ იქნება იგი?

უკანასკნელი მეცამეტე ტურის წინ მეორე ადგილს სამი პრეტენდენტი ჰყავდა: კონოპლოვა, ალექსანდრია და შული. ამასთან შული და კონოპლოვა ერთმანეთს ხვდებოდნენ. ეს პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში. ალექსანდრიამ შავებით ძმიმე პოზიცია მიიღო ჩიბურდანიძესთან, მაგრამ ნორჩი მოჭადრაკე იერიშის წარმოების დროს ძალიან გაერთო და სწორ გზას ასცდა. ახლა გადაღებულ პოზიციაში ალექსანდრიას მოგების შანსები აქვს. ეტყობა ალექსანდრია მეორე ადგილს გაიყოფს. ვისთან — შულთან თუ კონოპლოვასთან ეს კი გადადებული პარტიების დღევანდელმა დამთავრებამ უნდა გამოავლინოს.

ჩოგბურთი

უძლიერესთა ტურნირზე

ბუშინ თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე დაიწყო უძლიერესთა ტურნირის დასკვნითი შეხვედრები. ა. მეტრეველი—ა. ვოლკოვი! ჩვენი ქვეყნის პირველი და მეხუთე ჩოგანი. თითქოს ქართველი სპორტსმენის უპირატესობა აშკარა უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველ პარტიაში ანგარიში ყველასათვის მოულოდნელად წაიყვანა მოსკოველმა. ა. მეტრეველი დიდი გაჭირვებით ახერხებდა „ბამოდებებს“. ბოლოს კი მან არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ გაიმარჯვა კიდეც — 9:7. ეს იყო ძალზე ძნელი, დამქანცველი ორთაბრძოლა, რომელშიც გაიმარჯვა მეტრეველის დიდმა გამოცდილებამ, ოსტატობამ და ნებისყოფამ. მომდევნო პარტიებში ვოლკოვი უკვე ვერ უშვებდა მას დირსეულ მეტოქეობას და ჩემპიონმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 6:1, 6:0.

— მართალია, ა. მეტრეველი ამჟამად ძალზე გადაღლილია საერთაშორისო შეხვედრების შემდეგ, მაგრამ, ხომ იცით, მეტრეველი მაინც... მეტრეველია — გვითხრა თამაშის შემდეგ მისმა სპორტულმა ალმზრდელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. ხანგულიანმა. მაყურებლებმა მხურვალე ტაშით დაჯილდოეს ქართველი ოსტატი.

კვლავ მზარდი ოსტატობა გამოავლინა ახალგაზრდა მოსკოველმა არმენელმა შამილ ტარპიშჩევმა. მან აშკარა უპირატესობით სძლია გამოცდილ თანაგუნდელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვ. კოროტკოვს — 6:2, 6:0, 6:1. ესტონელმა თ. ლეიუსმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ახალგაზრდა კ. პუგაევი — 6:4, 6:3, 9:7; ვ. ბორისოვმა მოუგო ა. კაცენელსონს — 6:3, 6:3; ბ. ლამპმა — ა. ბოგომოლოვს — 8:6, 6:1, 4:6, 6:2; ვ. გუნჩინმა — გ. აბრამიძეს — 6:4, 6:4; ვ. ოსიპოვმა — გ. ელერდაშვილს — 6:3, 3:6, 6:3.

ქალთა შორის პირველი ადგილისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოელ ვ. ბირიუკოვასა და ლენინგრადელ ა. ერემეევას შეხვედრას. 6:0, 6:3 — გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა. თბილისელმა ა. ივანოვამ ანგარიშით 8:6, 6:0 დაამარცხა ი. შევრნკო, ხ. კეკელიოვამ — მ. გოგოლაური — 6:1, 6:3, ხოლო ს. კორუნოვამ — ო. პაპაიანი — 6:1, 5:7, 7:5.

დღეს ჩოგბურთელთა ტურნირზე შეჯიბრების უკანასკნელისწინა დღეა — ა. მეტრეველი ხვდება შ. ტარპიშჩევს.

ო. ოთარაშვილი.

◆

„სპორტლოტის“ ტირაჟი

კიევი, 10 მაისი. (საკდესი). „სპორტლოტოს“ მორიგ ტირაჟში ბედნიერი აღმოჩნდა შემდეგი ნომრები: ა სპორტის სახეობანი: 9 (ჭიდაობა), 14 (ფრენბურთი), 20 (ბაიდარი და კანოე), 23 (მძლეოსნობა), 42 (ძალოსნობა) და 49(შაში).



ყურადღება, შამათი!

ცნობილია, რომ ჭადრაკის თამაშის საბოლოო მიზანს შამათი წარმოადგენს. მაგრამ, როგორც წესი, ოსტატების მიერ ნათამაშევ პარტიებში მეფის დატყვევება იშვითად ხდება. საამოცანო კომპოზიცია კი საჭადრაკო ხელოვნების ის დარგია, რომელშიც შამათი ნაწარმოების ქვაკუთხედად გვევლინება. ამასთან ირკვევა, რომ საჭადრაკო ესთეტიკის თვალსაზრისით ყველა შამათი ტოლფასოვანი არ არის და მას თავისებური მხატვრული სპეკტრი ახასიათებს. შამათის ტიპოლოგიაში გარკვევა ყოველი მოყვარულისათვის აუცილებელია, რათა მან სწორად აღიქვას და შეაფასოს ნაწარმოები.

უნდა ვიცოდეთ, რომ საჭადრაკო კომპოზიციის უმნიშვნელოვანესი მხატვრული პრინციპებია „მასალის კეთილშიერობა“ (არაფერი ზედმეტი!) და „მიზნის სისუფთავე“ (იდეა დასვეწილი უნდა იყოს!). ეს პრინციპები გვევლინება აგრეთვე საშამათო სურათის სილამაზის კრიტერუმად. კერძოდ, შამათს ეპრნეშიერი ეწოდება მაშინ, როცა მასში მონაწილეობს დაფაზე არსებული ყველა თეთრი ფიგურა (გამონაკლისი დასაშვებია მეფისა და პიაკებისათვის). შამათი სუფთაა მაშინ, როცა საშამათო ზონა (უჯრა, რომელზეც მეფე დგას და ყველა მისი მეზობელი უჯრები) მეფეს წარმოეული აქვს მხოლოდ ერთადერთი მიზეზით. თუ ეკონომიურობის და სისუფთავის პრინციპები დარღვეულია, შამათს მხატვრული ღირებულება ეკარგება. განვიხილოთ მაგალითი.

„კომუნისტის“ 28 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო **ბ. ბისკუპის** მინიატიურა (**თეთრები:** მფb2, ლg4, კf8, მe6, ბc4 — **შავები:** მფe5 ბf7 შამათი 3 სვლაში), რომელიც შემდეგნაირად იხსნება. **1. მფc2! ცუგცვანი. 1... fe 2. ლf3 მფd4 3. ლf4 ×, 1... f6 2. კe7 f5 3. ლe2 × 1... f5 2. ლg5 მფ:e6 3. ლe7 ×, 1... მფf6 2. მc5 მფe5 3. მd7 ×.**

ყურადღებით დავაკვირდეთ ოთხივე ვარიანტის საშამათო სურათებს. ყველა შამათში ერთდროულად დაცულია ეკონომიურობის (მონაწილეობს ყველა თეთრი ფიგურა) და სისუფთავის (შამათთ ზონის არც ერთი უჯრა არ იმყოფება ორი ან მეტი ფიგურის კონტროლს ქვეშ) პრინციპი. ასეთ შამათს, როცა იგი ერთდროულად ეკონომიურიც არის და სუფთაც, სანიმუშო შამათი ეწოდება. იგი ლამაზი შამათის ეტალონს წარმოადგენს და დიდად ფასობს საჭადრაკო კომპოზიციაში. აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას პირველად მიაქცია სერიოზული ყურადღება ფრანგმა პრობლემისტმა ოგიუსტ დ' ორვილმა (1804-1864 წწ.), ხოლო შემდეგ ჩეხებმა სანიმუშო შამათის საფუძველზე საკუთარი საამოცანო სკოლაც კი შექმნეს.

მკითხველებს ამოსახსნელად თავავაზობთ ცნობილი ავსტრიელი პრობლემისტის ო. ნემმოს სამსვლიან ამოცანას, რომელიც რამდენიმე საინიმუშო შამათს შეიცავს.

ო. ნემო, 1885.



შამათი 3 სვლაში.

ველით თქვენს ამოხსნებს.

აი ვინ ამოხსნა

ავტორისეული ამოხსნა გამოგვგზავნეს **ნ. ერემაძემ, ხ. ჭინჭარაულმა, ლ. მიიფარიანმა, ზ. და დ. ნიკოლაიშვილებმა** (ყველა — თბილისი), **ბ. ნადირაძემ** (საჩხერე), **რ. ლიპარტელიანმა** (ლენტეხის რ. სოფ. კახურა).

„მერანის“ მკითხველები კომპოზიტორებისათვის მეტად სახიფათო, მაგრამ სასარგებლო აქტიურობას იჩენენ. ჩვენი კლუბის წევრთა დიდმა ნაწილმა მიაგნო თანაამხსნას — 1. მc5! რითაც ამ საინტერესო ნაწარმოებს მოსპობა ემუქრება. როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა მისი გასწორება-გადარჩენა? ველით თქვენს პასუხს.

„ბებერმა მელამ“ მომატყუა!

პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირში მხცოვანი ინგლისელი გროსმაისტერი ჯოზეფ ბლეკბერნი ახალგაზრდა რიგელ აორნ ნიმცოვიჩს ხვდებოდა. მდგომარეობა სავსებით გათანაბრდა და თითქოს პარტიაც ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, როდესაც მრავალნაცადმა ბლეკბერნმა მეტოქეს ღრმად შენიღბული მახე დაუგო. ნიმცოვიჩმა იჩქარა და... შეცდა.

„მომატყუა ამ ბებერმა მელამ“, — წამოიძახა რუსულად ნიმცოვიჩმა. ბლეკბერნს რუსული არ ესმოდა, მაგრამ ეს სიტყვები მაინც დაიმახსოვრა. სანამ ნიმცოვიჩი სვლას იფიქრებდა, ბლეკბერნი სეირნობდა და გამვლელებს ეკითხებოდა.

„მითხარით, გეთაყვა, რას ნიშნავს „ბებერი მელა“?

„ბევრს არაფერს“, — უპასუხებდნენ მას და თან ეღიმებოდათ.

ბლეკბერნი ეძებდა აიტანა და მსჯელს ჰკითხა.

„ის მაინც მითხარით, ვინ არის ეს „ბებერი მელა“! ჯენტლმენია თუ არა?“.

სხვა ტურნირები

მხცოვანმა დოქტორმა ტარაშმა მოსაგები პოზიცია წააგო ტარტაკოვერთან და ძალიან გაცხარდა. მას უნდოდა დაემტკიცებინა ახალგაზრდა მეტოქისათვის, რომ იგი აზარტულად თამაშობდა და სრულიად შემთხვევით მოიგო.

— თქვენი ფიგურები ძალიან გენდობიან თქვენ, — უთხრა ტარაშმა.

— არა, პატივცემულო დოქტორო, პირიქით ხდება, — ეს მე ვენდობი ძალიან ჩემს ფიგურებს.

ბოგოლიუბოვი ძალიან დიდი შეხედულებისა იყო საკუთარ ხელოვნებაზე და ამბობდა:

— მსოფლიოში ხულ ორი ჭეშმარიტი მოჭადრაკეა... მეორე ალიოხინი გახლავთ...

ტექნიკის სიახლენი

საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი სთავაზობს სოფლის მეურნეობის მუშაკებს...

□

„მმარგვლელი“

მილებულია გადაწყვეტილება წარმოებაში ჩაბმულ იქნას სამარგლავი აგრეგატი უნივერსალური „მმარგვლელი“ პაუ-4. აგრეგატი პაუ-4 განკუთვნილია ბოსტნეულა კულტურების გამარგლისა და გამოხმირვისათვის კვლებში და დამცველ ზონებში სწორ ზედაპირზე. პაუ-4 გადაებმის ტ-16 და ტ.16 მ თვითმავალ შასის, აგრეგატს. მომსახურებას უწევენ ტრაქტორისტი და 4 მუშა.

აგრეგატის წარმადობაა ერთი საათის ხალას მუშაობაში 0,64 ჰექტარი.

სამარგლავ აგრეგატ პაუ-4-ს გამოუყენება ხელით შრომასთან შედარებით უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას 4,7-ჯერ, შრომის დანახარჯის 79%-ით და საექსპლოატაციო ხარჯების 43%-ით შემცირებას.

სარეველების მოსპობის დონე კვლებსა და დაცვითს ზონებში 93%-ია.

მიმომგნევი

მილებულია გადაწყვეტილება წარმოებას ჩაბარდეს ფერდობებზე მინერალური სასუქების მიმომნევი რმს-6 (მიმომნევ ნრუ 0,5-ის სამთო მოდიფიკაცია).

მიმომნევი რმს-6 გათვალისწინებულია მინერალური სასუქების ზედაპირული მიმომნევისათვის 20°-მდე დახრილობის მქონე ბაღებსა და მინდვრებში, სამთო მიწათმოქმედების ზონებში. რმს-6 ებმება ციცაბო ფერდობისა და ბაკის 0,9-1,4 ტ კლასის ტრაქტორებს (ტტზ-5 ლ-ის გარდა). აგრეგატს მომსახურებას უწევს ტრაქტორისტი.

მიმომნევის წარმადობა წმინდა მუშაობის ერთ საათში 0,6 ჰექტარამდეა.

მიმომნევი რმს-6 შესაძლებლობას იძლევა მექანიზებულ იქნას მთის ფერდობებზე მინერალური სასუქების შეტანის შრომატევადი პროცესი და უზრუნველყოფს ხელით მიმომნევასთან შედარებით წარმადობის გადიდებას 15,7-ჯერ, შრომის დანახარჯების შემცირებას 77 პროცენტით და საექსპლოატაციო ხარჯებისას 35,9 პროცენტით. წლიური ეკონომიური ეფექტია 820 მანეთი.



სასაძოვრო წყალამწევი

სასაძოვრო დიაფრაგმიანი წყალამწევი ვდპ-50 განკუთვნილია წყლის აწევისათვის მძლოვანი ჭებიდან (ჭაბურღილებიდან), რომელთა სარგავი მილების დიამეტრია არანაკლებ 6 დიუმისა და სიღრმე არაუმეტეს 50 მეტრისა.

წყალამწევს დგამენ სტაციონარულ საძოვრებზე უდაბნო, ნახევრადუდაბნო რაიონებსა და მშრალი ველების ზონებში ცხოველთა უზრუნველსაყოფად.

ეფექტიანობის ხარისხია 20 პროცენტი.

ამჟამად ხმარებულ ავვ-2 და ავვ-3,8 ავტოსახიდრებთან შედარებით უზრუნველყოფს ცვლაში შრომის ნაყოფიერების გადიდებას 25 პროცენტით, 1 კუბურ მეტრ აწეულ წყალზე შრომის დანახარჯების შემცირებას 19 პროცენტით და 1 კუბურ მეტრ წყალზე საექსპლოატაციო ხარჯების შემცირებას 48,7 პროცენტით.



რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

საკავშირო კავშირგაბმულობის დაუსწრებელი ელექტროტექნიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალი

აცხადებს სტუდენტების მიღებას 1973-74 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

I. ავტომატური და მრავალარხიანი ელექტრული კავშირის ფაკულტეტი ამზადებს ინჟინერ-ელექტრიკოსებს.

1. ავტომატური ელექტრული კავშირის,

2. მრავალარხიანი ელექტრული კავშირის სპეციალობებით.

II. საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი ამზადებს ინჟინერ-ეკონომისტებს;

1. კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის;

2. კავშირგაბმულობის საწარმოთა მანქანებისა და მოწყობილობებს სპეციალობით.

III. რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის ფაკულტეტი ამზადებს რადიო-ინჟინრებს.

1. რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის,

2. რადიოტექნიკის სპეციალობით.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის მოქალაქეები ასაკის მიუხედავად. ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ იმ პირთ, რომელთა სამუშაოს ხასიათიც შეესაბამება არჩეულ სპეციალობას.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ა) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ბ) ფიზიკაში (ზეპირი), გ) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ფრიადოსნები აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

განცხადებების მიღება წარმოებს 1973 წლის 20 აპრილიდან.

მისაღები გამოცდები 1-დან 10 ივნისამდე.

ჩარიცხვა იწარმოებს 21 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე.

განცხადებას თან უნდა დადართოს შემდეგი საბუთები (თითო ეგზემპლარი რუსულ ენაზე) ა) საშუალო განათლების მოწმობის დედანი, ბ) დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, უმაღლეს სასწავლებელში წარსაგენად, გ) 4 ფოტოსურათი ზომით 3×4, დამოწმებული ბეჭდით, დ) შრომის წიგნაკის ამონაწერი, ე) სამედიცინო ცნობა (ფორმა 286).

განცხადება და საბუთები საჭიროა გამოიგზავნოს **მისამართით: თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 8.** ტელ. 95-47-48.

ტრესტ „იალტასპეცსტროის“ სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამართველოს ყირიმ-განთიადის რაიონში მუდმივ სამუშაოზე ესაჭიროება მშენებელი ინჟინერები, ტექნიკოსი-მშენებლები სხვადასხვა თანამდებობაზე გამოსაყენებლად.

სამუშაოზე მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ხანიერი ფართობით.

საყარმის მისამართი: გაგრის რაიონი, დაბა განთიადი, გორკის ქ. № 34.

ტრესტ „იალტასპეცსტროის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

ვოლგაზე თბომავლით მოგზაურობა დასვენების საუკეთესო საშუალებაა!

თბილისის საექსკურსიო სამოგზაურო ბიურო 1973 წლის 6-დან 27 ივნისამდე თბომავალ „ბარგუზინით“ აწყობს 22-დღიან მოგზაურობას მარშრუტით: როსტოვი (ვოლგა-დონი) — მოსკოვი — როსტოვი.

მოგზაურობის მონაწილენი დაათვალიერებენ ქალაქების ვოლგოგრადის, სარატოვის, კუიბიშევის, ტოლიატის, ულიანის, გორკის, უგლიჩის, კალინინის, მოსკოვის, იაროსლავლის, კოსტრომის, ჩებოქსარის და ულიანოვსკის ღირსშესანიშნაობებს.

საგზურის ღირებულება 140 მანეთიდან 240 მანეთამდე.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა, სამჯერადი კვება, თბომავლის რესტორანში და საექსკურსიო მოგზაურობა ქალაქებში.

საგზურების შეძენა შეიძლება, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი — 2, ალექსანოვის პროსპექტი № 5, ტელ. 95-77-59.

თბილისის საექსკურსიო სამოგზაურო ბიურო.

ტელევიზია

12 მაისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 14.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.30 — მხატვრული ფილმი „დაგვრთეთ აფრენის ნება“, 16.05 — „საესტრადო პანორამა“, 16.40 — სატელევიზიო ფილმი, 17.30 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 18.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — კონცერტი, 20.45 — „სპორტი ყოველ ასაკში“, 21.10 — სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“ (განმეორებით), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თვიდან თვემდე“, 23.10 — კინონარკვევი. 23.20 — ფერადი ტელევიზია. სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

19.20 — სატელევიზიო ფილმი, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ფილმი-კონცერტი „რერო მასპინძლობს“.

რადიო

12 მაისი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნ. მამისაშვილი. კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მღერის ტ. ჯონსი, 11.45 — რ. ლალიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“; ა. ბაბაჯანიანი. „გმირული ბალადა“; ე. კაბი. ფრაგმენტები ბალეტიდან „კალევიპოეგი“, 12.45 — საუბარი „ლენინი — ჩვენი პარტიის შემქმნელი და ორგანიზატორი“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — „სამართლებრივი ცოდნის სკოლა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მიწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 14.00 — დ. კლდიაშვილი. „სამანიშვილის დედინაცვალი“. რადიოდადგმა, 15.00 — ჯ. ჩაიკოვსკი. სცენები ოპერებიდან, 16.15 — მსუბუქი მუსიკა, 16.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, საყმაწვილო ოპერა „სამი გოჯი“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ბ. გორბულსკი. საორკესტრო სიუიტა ოპერეტიდან „ტრფობის ჟამი“, 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“, 20.20 — ლ. ბეთჰოვენი. „კრეიცერის სონატა“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „მუშათა ღირსეული ცვლა“, 21.45 — საერთაშორისო დღიური (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 22.30 — ხ. ციციკაძე. საბალეტო მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

12 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლხეთის ცისკარი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შრიელ აკოსტა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შვიდნი ძმანი გურჯანელნი.

ქომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნის — 99-72-80 სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახლავლებლებისა და ხელოვნების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УФ 02661

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.